ოქმი:**ო02. 3722360001**

თარიღი:**26/12/2022**

ოქმი № 26

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2022 წელი, 23 დეკემბერი

ქ.ოზურგეთი

10.30-11.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ლ. კილაძე, ვლ. ხავთასი, ნ. სარჯველაძე, ალ. ღლონტი. თ. ტუღუში, ნ. ჭანიშვილი, ტ. არუშიძე, ნ. ურუშაძე, დ. მდინარაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2023 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

2. მშენებლობის (განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის გარდა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე, აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის გადახდის წესისა და ოდენობის განსაზღვრის შესახებ.
მომხსენებელი: ბექა თოიძე

თანამომხსენებელი: ლაშა თავაძე

სხდომის თავმჯდომარემ, ბ. თოიძემ განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოვიდა ორი პროექტი, შემდეგ მოკლედ გააცნო დღის წესრიგში შეტანილი პირველი საკითხი, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

დღის წესრიგის მეორე საკითხი კომისიის წევრებს გააცნო თანამომხსენებელმა ლ. თავაძემ, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და კენჭისყრით მხარი დაუჭირეს მის წარდგენას საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და დღის წესრიგში შეტანილი ორივე პროექტი წარდგენილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი